პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 შაბათი 27 აგვისტო № 200 (16940) ფასი 2 კაპ. 1977

საქართველოს დიდი რთველი

გურჯაანელ მევენახეთა კასუმარ ოვნული ბრიგადიოთვის

ზესტაფონელთა ნვლილი

დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელს საქართველოს მევენახეები დიდი რთვლისათვის საგულდაგულოდ ემზადებიან. გურჯაანელთა მაგალითით ზესტაფონს რაიონის მევენახეებმა გადაწყვიტეს სამუშაოთა მაღალორგანიზებულობით რთველი 10-12 სამუშაო დღეში უდანაკარგოდ დაამთავრონ.

საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივნის ბ. მერკვილაძის წერილში, რომელიც დღევანდელი „კომუნისტის“ მეორე გვერდზეა დაბეჭდილი, მკითხველი გაეცნობა იმას, თუ რაიონის მშრომელები როგორ მოემზადნენ რთველისათვის. ზესტაფონელებმა წლეულს ახალი, გაფართოებული ვალდებულება იკისრეს, მათ გადაწყვიტეს სახელმწიფოს 25.000 ტონა ყურძენი მიეყიდნო.

დიდი რთველი კარზეა! მევენახეებო! ნაკისრ ვალდებულებათა შესახებ სრულებლად რთველი მაღალორგანიზებულად, მოკლე დროში უდანაკარგოდ დავამთავროთ, სამშობლოს მივცეთ მეტი და მაღალხარისხოვანი ყურძენი!

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

1977 წლის შაქრის ჭარხლის მოსავლის დროული აღებისა და გადამუშავებისათვის კოლტავის ოლქის კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობებისა და შაქრის ქარხნების მუშების სოციალისტური ვალდებულების შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა პოლტავის ოლქის სოფლის მეურნეობის, შაქრის მრეწველობის, სატრანსპორტო ორგანიზაციების მუშაკთა ინიციატივა, რომლებმაც იკისრეს გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებანი 1977 წლის შაქრის ჭარხლის მოსავლის დროული, უფანაკარგო აღების, გადაზიდვისა და გადამუშავებისათვის. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ქვეყნის ჭარხლის მთესველი რაიონების სამხარეო, საოლქო და რაიონულ აღმასკომებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ქვების მრეწველობის სამინისტროს, „საკოოფლტექნიკას“ დაავალა ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება შაქრის ჭარხლის მოსავლის ორგანიზებული აღებისა და გადამუშავებისათვის. მოსავლის ასაღები ტექნიკის, ტრანსპორტისა და შაქრის ქარხნების საწარმოო სიმძლავრეთა მაღალნაყოფიერი გამოყენებისათვის, შაქრის ჭარხლის დამზადებისა და შაქრის გამომუშავების დავალებათა და ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

პოლტაველ მეჭარხლეთა სიტყვა

პოლტავის ოლქის კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების, შაქრის ქარხნების, „სოფლტექნიკის“ გაერთიანებისა და სატრანსპორტო ორგანიზაციების მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების სოციალისტური ვალდებულებანი 1977 წლის შაქრის ჭარხლის მოსავლის დროული აღების, გატანისა და გადამუშავებისათვის

პოლტავის ოლქის სოფლის მეურნეობისა და შაქრის მრეწველობის მუშაკები, რომლებიც იბრძვიან რა სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის და ჩაბმული არიან დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაჩაღებულ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, დიდ მუშაობას ეწევიან შაქრის ჭარხლის წარმოებისა და შაქრის გამომუშავების გაზრდისათვის.

შაქრის ჭარხალი პოლტავის ოლქში ოდითგანვე წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ კულტურას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. მას მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესებსა და შემოსავალში. ოლქს არსებითი წვლილი შეაქვს ქვეყნის შაქრით უზრუნველყოფის საქმეში.

გულმოდგინე მუშაობამ, რომელსაც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ეწევიან მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის, და განსაკუთრებით, მიმდინარე წელს შაქრის ჭარხლის პლანტაციებში განხორციელებული აგროტექნიკური ღონისძიებების კომპლექსმა, მეჭარხლეებს საშუალება მისცა უხვი მოსავალი მოეწიათ, გადაესწრნენ და გაეზარდათ ადრე ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

ოლქის მეჭარხლეებმა გადაწყვიტეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 4 მილიონ 500 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი, რაც 350 ათასი ტონით სჭარბობს ნაკისრ ვალდებულებებს. ზეგეგმით ჭარხლისაგან დამატებით გამომუშავებენ სულ ცოტა 40 ათას ტონა შაქარს.

მეჭარხლეებს, რომლებიც ასეთ ვალდებულებებს კისრულობენ, კარგად ესმით, რომ მათი შესრულება უწინარეს ყოვლისა ძირხვენების ორგანიზებულ აღებაზე, მოსავლისათვის ბრძოლის ამ გადამწყვეტი კამპანიის მოწყობის საკულტურულ მომზადებაზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომაა, რომ ოლქის მეურნეობებში ახლა განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტაცარობოლს ბინა ოკაოვის რაიონის მიწათმოქმედთა და ქვეყნის სხვა რაიონების მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გამოყენებას, რომლებმაც წარმოებაში დანერგეს მოსავლის ასაღები სამუშაოების ორგანიზაციის ახალი, პროგრესული ტექნოლოგია.

ოლქში შეიქმნა 522 მოსავლის ასაღები სატრანსპორტო რაზმი, რომლებიც ორკვლიანი მუშაობისაგან დაკომპლექტებულია ყველიფიციური მექანიზატორებით, ავტომობილებზე კი მუშაობს ორ-ორი ძმელი.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება შაქრის ჭარხლის მოსავლის აღების ვადებსა და ყველა სამუშაოს ხარისხიანად მოწყობას, მოსავლის ხანგრძლივ ბრძოლას. მექანიზატორებმა გადაწყვიტეს უზრუნველყონ მანქანების დიდმწარმოებლური გამოყენება და სეზონური გამომუშავება ექვსსმეტიოდ მოსავლის ასაღებ კომბაინზე გაზარდონ 200 ჰექტარამდე და სამმწკრივა შაქრის ჭარხლის კომბაინზე — 50 ჰექტარამდე.

ყველა რაიონში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შემუშავებულია მოსავლის აღების კომპლექსური სამუშაო. გეგმებით გათვალისწინებულია მოაწყონ მოსავლის ასაღები, დასატვირთი და სატრანსპორტო საშუალებების ჯგუფური მუშაობა, ნაკადური და ნაკადურ-გადასაცლელი ხერხებით აიღონ მოსავალი ისე, რომ ჭარხალს აღარ დასჭირდეს ფესვების ხელით გაცლა, დაიწყონ ჭარხალი გადასაცლელ მოედნებზე, უზრუნველყონ მიდგრძად მანქანების ტექნიკური მომსახურება. აქ განსაზღვრულია შაქრის ჭარხლის მოსავლის აღებაზე მომუშავეებისათვის საჭირო კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის ღონისძიებები.

სატრანსპორტო საწარმოების კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს ფართოდ გამოიყენონ ჭარხლის ბატანისათვის ავტომატარებლები. სამტონიან ავტომობილზე ყოველდღიური გამომუშავება გაზარდონ 20 ტონამდე. ჭარხლის მიმღებ პუნქტებში ნედლეულის მიტანა დაამთავრონ არაუგვიანეს 5 ნოემბრისა. დასახულია რკინიგზით გადასაზიდი შაქრის ჭარხლის საერთო რაოდენობის სულ ცოტა 20 პროცენტი გადაზიდონ „მინდორ-ვაგონის“ მეთოდით, საწყობებში შუალედური შენახვის გარეშე.

ჭარხლის მიმღები პუნქტების მუშაკებმა პირობა დადეს დღეღამის მანძილზე შეუფერხებლად მიიღონ ჭარხალი, ამასთან გაითვალისწინონ მისი შაქრიანობა, მინიმუმამდე შეამცირონ გადმოტვირთვის სამუშაოებზე ავტოტრანსპორტის მოცდენა, უზრუნველყონ შაქრის, ჭარხლის დაცვა-შენახვა.

ოლქის ათივე შაქრის ქარხანაში შაქრის ჭარხლის დროული და ხარისხიანი გადამუშავების უზრუნველყოფისთვის განახლდა და გაფართოვდა 35 საამქრო და უბანი, დაიდგა ახალი ტექნოლოგიური და ენერგეტიკული მოწყობილობის 90-ზე მეტი ერთეული. ამის შედეგად შაქრის ქარხნების ჭარხალ-გადასამუშავებელი საწარმოო სიმძლავრენი დღე-ღამეში 880 ტონით აზრდება. ყველა საწარმო აღჭურვილია მოწყობილობით, რომლითაც აგროვებენ და გადასამუშავებლად აბრუნებენ ნარჩენ ჭარხალს. ეს შაქრის მრეწველობის მუშაკებს საშუალებას მისცემს ჭარხლის შენახვისა და გადამუშავებისას დანაკარგების შემცირების გზით დამატებით გამომუშაონ 5 ათასი ტონა შაქარი.

ყველა შრომით კოლექტივში შეიმუშავეს შაქრის ჭარხლის მოსავლის წარმატებით აღებისა და გადამუშავებისათვის სოციალისტური შეჯიბრების პირობები, ფართოდ გამოიყენეს ნოვატორული მორალურ-მატერიალური წახალისების ღონისძიებებს.

პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას წარმართავენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ მოსავლის აღების სამუშაოებისა და შაქრის ჭარხლის გადამუშავების ორგანიზებული მოწყობა, შესრულონ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები.

პოლტავის ოლქის სოფლის მეურნეობის, შაქრის ქარხნების, სატრანსპორტო საწარმოების მუშაკებს, ყველა მშრომელს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ქვეყანას, მისცეს მეტი შაქარი, ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნონ დიდი ოქტომბრის 60 წლისთავი.

სოციალისტური ვალდებულებები მიიღეს საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, შაქრის ქარხნებისა და ჭარხლის მიმღები პუნქტების, „სოფლტექნიკის“ გაერთიანებების, სატრანსპორტო საწარმოების კოლექტივებში და მოიწოდეს კოლტავის ოლქის პარტიულ-საბჭოთა მეურნეთა აქტივის კრებაზე.

საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტები მ. ბაბრიაძე და ა. ვიბანანსკი მოსკოვიდან გვაცნობებენ:

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საქართველოს სსრ დღეების ცენტრალური მოვლენა გახდა საზეიმო საღამო, რომელიც 25 აგვისტოს გაიმართა ჩვენი ქვეყნის მთავრობა გამოფენის კოფერენციდარბაზში.

ამ საღამოს, რომელიც რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის ამაღლებებულ მანიფესტაციად გადაიქცა, კიდევ ერთხელ ცხადყო ყველა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ურღვევი კავშირი. კონფერენციდარბაზმა ვერც კი დაიტია ყველა მსურველი, ვისაც ეწადა გაეგონა სიტყვა საქართველოზე, შეხვედროდა მის ძველთაძველ და მარად ახალგაზრდა ხელოვნებას.

საზეიმო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დირექტორმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა პროფესორმა კ. მიხაილოვმა.

— ამ რამდენიმე დღეში, — თქვა მან, — რაც „სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის“ პავილიონში საქართველოს საიუბილეო გამოფენაა გახსნილი, მოსკოველებმა და დედაქალაქის სტუმრებმა შეძლეს გაცნობოდნენ წარმატებებს, რომლებითაც ეგებება გამრჯე და ნიჭიერი ქართველი ხალხი დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს. ამის შესახებ დამაჯერებლად გვიამბეს გამოფენაზე მამაცურად მებრძოლ ქართველ ბავშვებმა, ბავშვთა ტანსაცმლის ფაბრიკის ოსტატებმა, ბაბუაკაცებმა, ბებიებმა, ბიბლიოთეკარებმა, ბალეტმეისტრებმა, ბალერინებმა, ბალეტმეისტრებმა, ბალერინებმა, ბალეტმეისტრებმა, ბალერინ

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო სახალხო განხილვა

წინადადებები

გულდასმით გავეცანი კონსტიტუციის პროექტს. იგი ჩვენი სახოგადოებრივი-სოციალისტური წყობილების დიდი მონაპოვარია. მაქვს ჩემი მოსაზრებები ზოგიერთი მუხლის შესახებ.

კონსტიტუციის პროექტის 9-ე მუხლის ბოლოს აღნიშნულია: „სახელმწიფო იცავს სოციალისტურ საკუთრებას და ქმნის მისი კიდევ უფრო გადიდების პირობებს.

არავის არ აქვს უფლება პირადი გამორჩენის მიზნით იყენებდეს სოციალისტურ საკუთრებას“. ზუსტი არ არის გამოთქმა: „ქმნის მისი კიდევ უფრო გადიდების პირობებს“. ასევე არაა ზუსტია „პირადი გამორჩენის მიზნით სოციალისტური საკუთრების გამოყენების უფლებაზე“ ლაპარაკი.

ჩემი აზრით აღნიშნული მუხლის ბოლო ნაწილის ჩამოყალიბება ასე აჯობებს:

„სახელმწიფო იცავს სოციალისტურ საკუთრებას და განუხრელად ზრუნავს მისი განმტკიცებისათვის. სახტიკად კრძალავს პირადი გამორჩენის მიზნით სოციალისტური საკუთრების გამოყენებას“.

21-ე მუხლში ნათქვამია:

„სახელმწიფო ზრუნავს იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს შრომის პირობები, შემცირდეს, მერე კი მთლიანად განდაეფნოს მძიმე ხელის შრომა წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საფუძველზე“.

ჩემი აზრით, უმჯობესი იქნება: „მძიმე ხელის შრომა“ შეცვალოს სიტყვებით „ხელით მძიმე სამუშაოებს“, რადგან შრომა ბევრნაირია, სამუშაოები კი მხოლოდ ფიზიკურ მუშაობაზე მიეთითებს. სასურველია ეს მუხლი ასე ჩამოყალიბდეს:

„სახელმწიფო ზრუნავს ადამიანთა შრომის პირობების გაუმჯობესებისა და ხელის მძიმე სამუშაოების თანდათანობით შემსუბუქებისათვის, რაც დამყარებული იქნება წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საფუძველზე“.

გ. ლონღაძე,
ორჯონიკიძის რაიონი. პედაგოგი.

□

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის 45-ე მუხლში — საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება— ლაპარაკია ყველა სახეობის უფასო განათლებაზე, საყოველთაოსავალდებულო საშუალო განათლების განხორციელებაზე, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების განვითარებაზე, ცხოვრებასთან და წარმოებასთან სწავლების კავშირის განმტკიცებაზე და ა. შ. მაგრამ, რატომღაც, არაფერია ნათქვამი მასწავლებლის როლზე სწავლა აღზრდის საქმეში. საჭირო კია ეს რამენაირად აისახოს ამ მუხლში.

მ. მამისაშვილი,
ცხინვალის № 4 საშუალო სკოლის მასწავლებელი.

□

ჩვენი მომავალი თაობის კომუნისტურ აღზრდაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლას. მაგრამ ბავშვების სწავლა-აღზრდაში არანაკლები პასუხისმგებლობა აკისრიათ მშობლებს. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის 66-ე მუხლში ნათქვამია: „სსრ კავშირის მოქალაქენი მოვალენი არიან ზრუნავდნენ შვილების აღზრდისათვის, ამზადებდნენ მათ საზოგადოებრივი შრომისათვის“. მოქალაქე ფართო ცნებაა. უკეთესი იყო სიტყვა მოქალაქე შეცვლილიყო მშობლებით და ეს მუხლი ჩამოყალიბებულიყო ასე: „ბავშვების აღზრდა სკოლასთან ერთად მთელი პასუხისმგებლობით ეკისრებათ მშობლებს“.

თ. გუჯარაიძე,
ყაზბეგი.

□

ჩემი აზრით სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის 52-ე მუხლს უნდა დაემატოს:

„რელიგიის სასარგებლო პროპაგანდა ეკლესიის გარეთ აკრძალულია. რელიგიურ-სექტანტური მუშაობა, რომელიც ანტისაზოგადოებრივ ხასიათს ატარებს, ზიანს აყენებს ადამიანის განმრთელობას, ლახავს მის ღირსებას. ეკლესიებში რელიგიურ დღესასწაულებზე რელიგიური რიტუალების შესასრულებლად ჩვიდმეტ წლამდე ბავშვების ტარება აკრძალულია“.

მ. ზაზაძე,
ახალციხის რაიონის სოფ. წინუბანი. პედაგოგი.

ადამიანი და გარემო

ჩვენთვის და მომავალი თაობისათვის

გავუფრთხილდეთ გუნების სიმდიდრეს

გუნების დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება უდიდესი სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანად არის აღიარებული. ამისი ნათელი დადასტურებაა კონსტიტუციის პროექტში გარემოს დაცვისათვის გათვალისწინებული მოთხოვნები. ამ მიზნისათვის მეათე ხუთწლედში საჭირო მასშტაბით გამოყოფილია 11 მილიარდი მანეთი, ჩვენი რესპუბლიკისათვის — 334 მილიონი მანეთი.

ადამიანსა და ბუნებას შორის ჰარმონიული ურთიერთობის დარღვევამ გარკვეული ზარალი დაანერა საქართველოს მრავალფეროვან გარემოს, იქიდან თუნდაც არაგვისა და თერგის ხეობების ოდევანდელი მდგომარეობა. რომლის გამოსწორება საშეიძლებელია.

არაგვისა და თერგის ხეობებზე გამოთვალ სამხედრო გზა ერთადერთი დამაკავშირებელი არტერია ჩრდილოეთ კავკასიასთან. ამ რეგიონის დიდი ეკონომიური, სოციალური და სულიერი ღირებულების მოუხდავად, ბუნების დაცვის და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების გათვალისწინებისათვის ამ დღემდე ბევრი არაფერი გაკეთებულა.

საქართველოს ტერიტორიაზე ამ ხეობებში ტყით დაფარული 106 ათას ჰექტარზე მეჩხერი და ძლიერ მეჩხერი ტყის კორომები დაახლოებით 26 ათას ჰექტარს აღწევს, და რაც ყველაზე დამაფიქრებელია, მათ უკვე დაკარგული აქვთ ბუნებრივი განახლების უნარი.

აღნიშნულ ხეობათა მოსახლეობის მოთხოვნილებები ხეებზე ჯერ კიდევ მთლიანად არ არის დაკმაყოფილებული, ამიტომ საწვავზე მოთხოვნილების მთელი სიმძიმე გადატანილია ისევ ტყეებზე, რომლებიც განლაგებულია 36-40-გრადუსიანი დაქანების ფერდობებზე. ეს კი დიდ ზიანს აყენებს არა მარტო ტყეს, არამედ ამ რეგიონის სხვა ბუნებრივ ელემენტებსაც.

ხეობების ორივე ფერდობზე განლაგებული 65 ათას ჰექტარზე მეტი ალპური საძოვრებიდან 40 ათას ჰექტარამდე მიწა უნდა მოიწყას და წამში 9 კუბური მეტრი სასმელი წყალი მიეწოდოს თბილისსა და რუსთავის მშრომელებს. გაძლიერებული ეროზიული პროცესების შესაჩერებლად საჭირო მოცულობით არ იწყობა ჰიდრომელიორაციული და სხვა სამუშაოები და საეჭვო ხდება ირიგაციის წყალსაცავის ნორმალური კედლა, ჩნდება ქიაღორღით მისი ამოვსების საშიშროება. არის თუ არა ამის შესაძლებლობა, რომ თავიდან აიცილოთ ასეთი საფრთხე? დიახ, ეროზიისგებული პროცესები განვითარებულია დაახლოებით 4.200 ჰექტარზე, აგრეთვე ძლიერ გაჭრილებულია სარეველა მცენარეები.

მწვანე საფარის მნიშვნელოვანი შემცირების შედეგად შესამჩნევად გაუარესდა საკოლმეურნეო და სახელმწიფო ტყეების ტერიტორიაზე, აგრეთვე საძოვრებზე ნიადაგის ფიზიკური მდგომარეობა. ატმოსფერული ნალექების სწრაფი ჩამოდინების შედეგად ხშირად წარმოიშობა ნიადაგრეები, ღვარცოფები, რომლებსაც თან ახლავს ნაყოფიერების შემცირებას განიცდის, გადაუდებელ ამოცანად ისახება ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების, საძოვრებზე სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის, ხოლო მათი ნაყოფიერების ამაღლებისათვის ბალახების [illegible] ერთ რეგულირება, ძოვებ[illegible] დების დაცვა, გაუმჯობესებული [illegible] სათიბების მოწყობა.

სატყეო-საკულტურო [illegible] რე მოცულობის მელიორაციული ღონისძიებების განსახორციელებლად მიზანშეწონილი იქნება სამთოსამტყეო სადგურების შექმ[illegible] ურიგდეს [illegible] ნერნას. წყალს, ჯიბ[illegible] ბას, [illegible] ტყეებს, თევზებ[illegible] — ბაგას, ფეხრას, „ნაფოტ[illegible]ს, [illegible] ბის, გვიდანას, ორაგულ[illegible], ალმასხის, ლოქოს გამრავლებას ხელს შეუწყობს ნა[illegible] ... ძვირფა[illegible] ... ერს აკრ[illegible] ... ენა. გაკეთდეს [illegible] ... ები — ირ[illegible] ... ებ[illegible] ... ებ[illegible] ... ებ

საქართველოს სსრ
სახალხო კონტროლის
კომიტეტში

ჟალობის კონტროლიორი!

№ 127
ერთვნული
ბიულეტენი

ვ ხ ა რ ჯ ო თ ყ ა ი რ ა თ ი ა ნ ა დ

საქართველოს სსრ აღმასრულებელი მრეწველობის სამინისტროში მმართველობითი აპარატის გაუმჯობესებისა და გაიაფების ღონისძიებათა თაობაზე რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ იმსჯელა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა.

როგორც ითქვა, ამ მხრივ სამინისტროს სისტემაში გარკვეული მუშაობა არის გაწეული, მაგრამ შემოწმებამ ცხადყო, რომ იგი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი და დღევანდელობის მოთხოვნებს არ შეესაბამება.

სამინისტრო ხათანადო ხელმძღვანელობასა და კონტროლს არ უწევს ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის რიცხობრივ შემცირებასა და სტრუქტურის სრულყოფას. ამის შედეგად ცალკეული საწარმოების ხელმძღვანელები ფაქტიურად არ ახორციელებენ ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის რიცხობრივ შემცირებას, ხოლო ზემდგომი ორგანოების მიერ მათთვის დაწესებული ეკონომიის თანხას გადარიცხავენ რესპუბლიკის სახბიუჯეტის შემოსავალში. ეს მნიშვნელოვნად ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას. შემოწმებისას ახალი ნაკლოვანებანი აღმოჩნდა თბილისის № 1 მექანიკურ ქარხანაში, სახალხო სამხატვრო სარეწაოსა და სუვენირების გაერთიანება „სოლანში", სამტრედიის რაიმრეწკომბინატში, გორის საწარმოო გაერთიანებასა და თბილისის პლასტმასის ნაწარმის ფაბრიკაში.

ისიც გაირკვა, რომ სამინისტროს ცენტრალურ აპარატში უკანასკნელი სამი წლის მანძილზე სტრუქტურული ჭვეგანაყოფები არ გამსხვავებულა და არც აპარატის ხელმძღვანელი შემადგენლობა შემცირებულა.

საწარმოო გაერთიანებების შექმნისას სამინისტრომ ვერ მიაღწია მართვის ოპტიმალური სქემებისა და თანამედროვე გამოსათვლელი ტექნიკის დანერგვას, საინჟინრო-ტექნიკური და მმართველობითი სამუშაოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საფუძველზე ხარჯების მაქსიმალურ შემცირებას. ყოველივე ამის გამო გაერთიანების შექმნის შემდეგ ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის რაოდენობრივი შემადგენლობა და მისი შენახვის ზღვრული ასიგნება ნაცვლად შემცირებისა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, ქუთაისის საწარმოო გაერთიანებაში (დირექტორი — თ. ფურცელაძე) ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შემადგენლობა გაერთიანების შემდეგ 17,8 პროცენტით, ხოლო ზღვრული ასიგნება 24,4 პროცენტით გადიდდა.

სამმართველო აპარატის შენახვის სახელმწიფო სახსრების ხარჯვისადმი სათანადო კონტროლის უქონლობისა და საშტატო დისციპლინის უხეში დარღვევების გამო ზოგიერთმა საწარმომ დამტკიცებულ ზღვრულ ასიგნებაზე მეტი სახსრები დახარჯა. ამასთან სამინისტრომ წლის მანძილზე დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს არაერთხელ გაუდიდა ზღვრული ასიგნებანი, რაც ხშირად დანიშნულებისამებრ არ იხარჯებოდა. ასე იყო თბილისის № 1 მექანიკურ ქარხანაში.

საშტატო-საფინანსო დისციპლინის დაცვის საქმისადმი საწარმოთა ხელმძღვანელების უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად, ზღვრული ასიგნების ხარჯვის საქმეში მოჩვენებითი კეთილდღეობის შექმნის მიზნით ქუთაისის საწარმოო გაერთიანებაში, თბილისის პლასტმასის ნაწარმის ფაბრიკაში, სამტრედიის მრეწკომბინატში სამმართველო აპარატის მუშაკებს ინახავდნენ საწარმოო მუშებისა და არარეგისტრირებული პერსონალის ხარჯზე.

ნედლეულითა და დამხმარე მასალებით არადამაკმაყოფილებელი მომარაგების, დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების, აგრეთვე სამინისტროში თათბირებზე, რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში მუშაკთა მივლინებებზე დიდძალი თანხები იხარჯება. მაგალითად, შარშან 9 თვეში წყალტუბოს საწარმოო გაერთიანებაში სამივლინებო თანხების 59,9 პროცენტი მომარაგების საკითხებთან, ხოლო 27,7 პროცენტი — თათბირებთან დაკავშირებით მივლინებებზე დაიხარჯა.

როგორც კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, ასეთი ნაკლოვანებები და დარღვევები იმის შედეგია, რომ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და მისთვის დაქვემდებარებულ საწარმოთა ხელმძღვანელები ჯერ კიდევ სათანადოდ არ აკონტროლებენ სამართველო აპარატის შენახვის სახსრების ხარჯვის, საშტატო-საფინანსო დისციპლინის დაცვის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა განხორციელების მდგომარეობას. აღსანიშნავია, რომ არც ერთ შემოწმებულ საწარმოში არ იყენებენ ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების და მოსამსახურეების შრომის ორგანიზაციის სრულყოფის ნორმატიულ მასალებს, არ ხორციელდება საალრიცხვო-საგეგმო სამუშაოების მექანიზაციისა და ბუღალტრული აღრიცხვის ცენტრალიზაციის ღონისძიებანი და ა. შ. ისიც ითქვა, რომ ამ საკითხებს შემოწმებულ საწარმოთა სახალხო კონტროლის ჯგუფები უყურადღებოდ იკიდებენ.

კომიტეტმა სამინისტროს შრომისა და ხელფასის განყოფილების გამგეს ი. ხოსტარეშვილს, თბილისის № 1 მექანიკური ქარხნისა და ქუთაისის საწარმოო გაერთიანების დირექტორებს შ. ჩიქოვანს და თ. ფურცელაძეს სასტიკი საყვედური გამოუცხადა. მიღებულ იქნას ცნობად, რომ თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა მკაცრად დასაჯა თბილისის პლასტმასის ნაწარმის ფაბრიკის დირექტორი გ. ბოჭორიშვილი. ამასთან თბილისის სახალხო სამხატვრო სარეწაოსა და სუვენირების გაერთიანება „სოლანის", გორისა და წყალტუბოს საწარმოო გაერთიანებების, სამტრედიის რაიმრეწკომბინატის დირექტორებს დაევალათ ერთ თვეში გააკეთონ თავიანთი ორგანიზაციების მუშაკთა ხელფასებზე ინფორმაცია ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის მიღებული ზომების შესახებ. კომიტეტის დადგენილებით ფართო სამოქმედო ღონისძიებები აქვთ დასახული სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების ხელმძღვანელებს.

ვ ა მ ო წ ო ვ ებ თ შ ე ს რ უ ლ ებ ა ს

„კომუნისტის" რუბრიკა

წინსვლა მთაშიც არის, მაგრამ...

ვაჭრობა, მომსახურება, პროგლემები

მთა თავისი მკაცრი ბუნებით უფრო დიდ სახრუნავს უქმნის ადამიანს, ვიდრე ბარი. გრძელი ზამთარი, ყინ

საქართველოს ფიზ-ბარი

„კომუნისტის“ ფოსტიდან

მკითხველის კალმით

ქვაიშურის ქვის დაბადება

ონი. ღების მახლობლად ქვაიშურის მინდორზე გეოლოგებმა აღმოაჩინეს ხატოვანი ქვის დიდი მარაგი, რომელიც თავისი ხარისხით ერთ-ერთი საუკეთესოა რესპუბლიკაში. აქ უკვე აიგო ამ ძვირფასი სამშენებლო ქვის გადამუშავებელი ქარხანა. ამჟამად დასასრულს უახლოვდება ქარხნის ტექნოლოგიური ხაზის მონტაჟი და შიდა სამუშაოები.

ქვაიშურის ქვის პირველი პარტია რესპუბლიკის დედაქალაქში, საბურთალოს მეტროს სადგურის მოსაპირკეთებლად გაიგზავნება.

ვ. ცინცაძე.

აშენდა, დამშვენდა

ხობი. კიდევ ერთმა ლამაზმა, ეთითმოწყობილმა შენობამ დამშვენა ხიბულის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო საცხოვრებლის ტერიტორია.

ახლახან აქ 12-ბინიანი საერთო საცხოვრებლის შენობა წამოიმართა, რომელიც № 19 მოძრავ-მექანიზებულმა კოლონამ (ხელმძღვანელი გ. ტორჩინავა) აშენა.

რ. ქაჯაია.

ავტმხატვრული ბრიგადა

ფოთი. თამაკონის სასოფლო კლუბთან აგიტმხატვრული ბრიგადა ჩამოყალიბდა. ბრიგადა ხშირად მართავს საღამო-კონცერტებს სოფლის მშრომელებისათვის. ამას წინათ კოლმეურნეობა „შრომის დროშის“ გამჯობესებულ ნაყოფიერი მუშაობისათვის ბრიგადის წევრები ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვა.

შ. კვაშილავა.

სოფელს შეემატა

ქოგულეთი. ახლახან ჩაის ფაბრიკის დასახლებაში ახალი მრავალსართულიანი უნივერმაღი აშენდა. ახლა სოფლის მშრომელებს ორი უნივერმაღი იმსახურებენ.

ნ. ბორგილაძე.

მშრომელთა სამსახურში

ზუგდიდი. დღითიდღე იზრდება და ლამაზდება აბასთუმნის ტენგლის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია. აშენდა კულტ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო ობიექტების კაპიტალური შენობები, მოიკირწყლა შიდასამეურნეო გზები, დაიგო ასფალტი, გაიყვანეს წყაროს წყალი.

ახლახან მეურნეობას შეემატა ბანოს ახალი შენობა.

ბ. ალუბასია.

ფელეტონი

სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ, ადამიანს ვიტე შინ არ წასულიყავი (ერთბაშად ცოლი და ხუთი შვილი არ მელოდებოდეს!). ვიფიქრე, (ოტას გავისეირნებ, იქნებ ნაცნობიც შემხვდეს და კინოში შევალთ-მეთქი. ხელსაკინლების ჭრის გაკეთებენ. თამბაქოს თებრიკის საწყობს ვიკუსწორდი, თუ არა, შიგნიდან ლაპარაკის ხმა შემოგესმა, ალბათ. ალბომ მიკრონახა, რომ არაჩვეულებრივი საუბრის მოწმე ვიხდებოდი. შევჩერდი და ჭუჭრუტანას დავუყუე თვალი. მალე ალმოვაჩინე კიდევაც შევიკუეტე და სახტად დავრჩი... სიგარეტები, სხვადასხვა საკაჩრო ორგანიზაციებში გასაზიანად გამზადებული სიგარეტები ლაპარაკობდნენ!

თვალსა და ყურს არ ვუჯერებდი: ან ულსელ სიგნები როგორ ლაპარაკობენ, ან მე როგორ მესმის მეთქი მათი. რა ხარისხისა და სახელწოდების სიგარეტები არ იყო: „მზიური“ თუ „ლუქსი“. „პრიმა“ თუ „დაისი“, „კოლხეთი“, „თბილისი“ თუ „ვეერია“. არ ვიცი, რამ ეუშალათ ლაპარაკის საღერღელი, ან რამდენი ხნის დაწყებული ჰქონდათ საუბარი. ჩემი მისვლისას „პრიმა“ ლაპარაკობდა:

— არ გეგონოთ ხალხს არ ვუყვარდე და ის მალაპარაკებს. პირიქით, ბევრს ჩემზე უფრო ტიტულოვან სიგარეტზე მეტად მოვწონვარ. იაფიც ვარ და ხელმისაწვდომიც, არც თამბაქო მაქვს ცუდი, მხოლოდ ეს არის, ძალიან მოკლე ვარ და მალე ვიწყები. ოტას რომ დამაგრძელებდნენ!

— ნეტავი, რაც ვარ, ამბილაც არ ვიყო, — დაიჩივლა „დაისმა“. სანამ შე დავიწყებოდე, მანამდე მწვანილს ვწვავ, ყელს და პირს ვიმყრალებ. ვატყობ, ყველს შავძოლი და არ ვიცი, რა წყალში დადავარდე.

საუბარში „რიწა“ ჩაერია.

— თავიდან არა შიშავდა რა, მაგრამ მერე თანდათან წავდი. მე ისე მომივიდა: „კუმ ფეხი გამოჭყო: მეც ნახირ-ნახირო“. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მეც „მზიურისა“ და „ლუქსის“ ფასი დამადეს, („მზიურს“ გადახედა), თავი თქვენს ტოლად წარმოვიდგინე და ვგვყოყოჩდი. ახლა კი მაინც დამამინც რომ არავინ მეტანება, ბოლმა მახრჩობს. ისეთი თვალწარმტაცი ტბის სახელი მაინც არ მერქვას, უკამავი მნახველი რომ ფუტკარივით ახვევდა თავისი სიკაკლეცით ხიბლავს ყველას...

—ეჰ, ჩემო უმცროსო დაიკო! შენი არ ვიცი, და მე თავვანისმცემელი ჯერ საკმაოდ ბევრი მყავს, მაგრამ ამას წინათ ისეთი სირცხვილი ვჭამე! — დაიწყო „ლუქსმა“ — ერთმა ძველმა მწეველმა მიყოდა. ალერსით ვამბნსა. ამოიღო ერთი ღერი სიგარეტი. შეკატყვე არ მოეწონა, შკინე დამიბრუნა. მერე მეორე ამოიღო, მესამე... როგორც იქნა, ცოტა რბილი შეარჩია. მაინც ეთსრისა, პირში ჩაიდო და მოუკიდა. შეამეე არ ჰქონდა მოწეული, ჩაუქრა. პირიდან გამოიღო, დახედა: ბატიბუტიანი ვადაშლილიყო სიგარეტი. ერთი მაგრად შეიკუნთხა და ურნაში მოისროლა. მერე კიდევ შეიკიდა უკეთესი ღერი ამოიღო, და რომ ვერაფერს ვახდა, ბრაზმორეულმა მთლიანად სანაგვე ყუთში მიკრა თავი. ასე რომ ვაგრძელდეს, ალბათ მეც ზოგიერთებივით ახლოს არავინ გამიკარებს...

— თქვენ კიდევ რა გეჭირთ, ამოიოხრა „მზიურმა“. ალბათ, ყველას ვახსოვთ, არც ისე დიდი ხნის წინათ, ჩემი სახელი ყველა თამბაქოს მწეველს ეკერა პირზე. ჰო, რა გაფაციცებით მეძებდნენ, ჯოლისფინქსალით მკითხულობდნენ. მე კი სულ ვიმალებოდი, უფრო სწორად — მმალავდნენ და მხოლოდ „რიულთა“ ხელიდან ვიყავი, დახლს ქვეშით შეფარებული. ახლა? ახლა აღარავინ შეძებს და არც არავინ მმალავს, ვინაიდან „ის აღარა ვარ, რაც ვიყავ“.... როცა ჩემი თანდასწრებით სხვის სახელს კითხულობენ („კოლხეთმა“, „თბილისმა“ და „ვეერიამ“ ამაყად გადახედეს ერთმანეთს), პირდაპირ სირცხვილით ვიწვები, თორემ ნამდვილი მწეველი მამაკაცის ხელში დაწვას და დაფერფლას რამდენი ხანია მონატრებული ვარ.

გმირის უკვდავება

ვ. კოროსტენი. უკრაინის ქალაქ კოროსტენის ცხოვრებაში მიმდინარე, საიუბილეო წლის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა გახდა აქ სამოქალაქო ომის გმირის ლუკიანე თაბუკაშვილის ძეგლის გახსნა. კოროსტენელები წმიდად ინახავენ ამ მგზნებარე რევოლუციონერის, მამაცი და უშიშარი ადამიანის — „ქართველი ჯიქის“ სსოგნას, რომელმაც სხვა ბოლშევიკებთან ერთად 1917 წლის ნოემბერში მათ მშობლიურ ქალაქში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. ამასწინათ ისინი გულთბილად შეხვდნენ ლ. თაბუკაშვილის თანამემამულეებს — ჩვენი რესპუბლიკის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დელეგაციის წევრებს, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ უკრაინის კომპარტიის კოროსტენის საქალაქო კომიტეტის მოწვევით.

გამოცოცხლებული და ხალხმრავალი იყო აგვისტოს ამ დღეს ლ. თაბუკაშვილის სახელობის ქუჩა. აქ გაიმართა ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი. მიტინგზე პარტიის კოროსტენის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ლიტვინოვმა გულთბილად იღაპარაკა ჯავშნოსან „კოროსტენის რაიონის კომუნისტსა“ და უკრაინის პირველი საბჭოთა არმიის ჯავშნოსანთა რაზმის სახელოვან მეთაურზე, კოროსტენის რაიონის რევოლუციურ კომიტეტის ხელმძღვანელსა და კომისარზე, მტკიცე ბოლშევიკ-ლენინელზე ლ. თაბუკაშვილზე. მადლიერმა კოროსტენელებმა თაბუკაშვილის სახელი უწოდეს თავიანთი ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას, საშუალო სკოლას, საბავშვო ბაღს. იმ ადგილას, სადაც კოროსტენში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა დადგმულია მემორიალური დაფა.

(საინფორმ.).

სურათზე: რევოლუციის გმირის ლუკიანე თაბუკაშვილის ძეგლი ქალაქ კოროსტენის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე.

ქართული კინოს კვირეული აშხაგადში

„ბავშვება განთიადისას“ — ამ ფილმის პრემიერით დაიწყო აშხაგადის კინოთეატრებში ქართული კინოს კვირეული, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს ეძღვნება. თურქმენი მაყურებლები ნახავენ ქართველ კინემატოგრაფისტთა საუკეთესო მხატვრულ და ქრონიკალურ-დოკუმენტურ ფილმებს. ეკრანებზე გადის კინოსურათები „მოხეტიალე რაინდები“, „აურზაური სალხინეზეში“, „კაპიტნები“, „ბიჭები მერცხალი“, „არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ“ და სხვები.

— ქართველ კინოოსტატებთან ჩვენ დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს, — თქვა სიტყვისს კოროსტენოდეტანის საუბარში თურქმენეთის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ხ. ნარლიევმა. ახლანდელი კვირეულიც ამის საუკეთესო მაგალითია.

საქართველოს დარგაზიდან

ბრაკონიერები—მკვლელები

ბრაკონიერი მტაცებელ ნადირზე უფრო მეტ ზარალს აყენებს ჩვენი ბუნების მშვენებას — ფაუნას. ეს მდინარის ბადეებები და დაშრობაო, ეს დინამიტებით თევზაობა-მოსპობაო, ქლორითა და ციანის შხამით მარტო თევზის კი არა, ლიფსიტების სინსილის გაწყვეტაო და მრავალი ხერხი, რომლებიც ალბათ გაანადგურებს ჩვენს მდინარეებსა და ტბებში ისედაც დაღუპვის პირამდე მისული თევზს. ასევე ხშირად გაგონილი, რომ მავანმა და მავანმა მდინარეში მაღალი ძაბვის ელექტროდენი მიუშვა, მთელი წყალი ადუღა, თევზებს მუსრი გადალოო, მაგრამ თვითონაც...

ბრაკონიერთა ამ უკანასკნელ კატეგორიას ეკუთვნიან ლაგოდეხის რაიონის სოფელ ხიზაში მცხოვრებნი ტარიელ გიორგის ძე ხიხალაშვილი, შოთა ალექსანდრეს ძე ჯღოლოშვილი და ამირან ნიკოლოზის ძე ყორღანაშვილი. წლევანდელი ზაფხულის ერთ საღამოს სამი ძმაკაცი სათევზაოდ მდინარე ნინოსხევზე წავიდა. თან წაიღეს იზოლირებული მავთული, ბამბუკის ჯოხი, რეზინის ჩექმები და ვედრო. მავთული მაღალი ძაბვის ხაზს შეიერთეს, აფართხალდა თევზები. მდინარის პირას მდგომი არასრულწლოვანი ნ. ფ. იხმეს დასხმარებლად და ხელი მავთულგამობმული ბამბუკის ჯოხი მისცეს თევზების გასაწყვეტად, მაგრამ ბავშვს ელექტროდენმა დაარტყა და იგი გარდაიცვალა.

ამ დღეებში ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლომ გ. წიქარიძის თავმჯდომარეობით განიხილა ბრაკონიერთა საქმე. ტ. ხიხალაშვილს და შ. ჯღოლშვილს თითოეულს წლინახევრით პატიმრობა მიუსაჯა, ხოლო ა. ყორღანაშვილს ერთი წლის ვადით.

ბ. ახალაძე.

ფეხბურთი

ფრე ლენინგრადში

გუშინ გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მორიგი ტურის მატჩები. თბილისის „დინამო“ ლენინგრადში ასპარეზობდა „ზენიტთან“.

მოსკოველი მსაჯის ე. შკლოვსკის ნიშანზე თბილისელები მოედანზე ახალი შემადგენლობით გამოვიდნენ — გაბელია, ხიხანაშვილი, კოსტავა, კანთელაძე, მუჯირი, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ქორაძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია. თამაშის მე-5 წუთზე კიროვის სახელობის ცენტრალურ სტადიონის ტაბლოზე უკვე ენთო ციფრები 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ. გოლი გუცაევის მიწოდებით გაიტანა შენგელიამ. ტაიმის ბოლომდე ანგარიში არ შეცვლილა.

პირველი ნახევრის ბოლოს დაშაებული შეხვედრა შეცვალა ჩელებაძემ, რომლის ნაცვლად შემდეგ მოედანზე შემოვიდა კოპალეშვილი. მასპინძლები მთელი ოცი წუთის განმავლობაში გამუდმებით უტევდნენ თბილისელთა კარს, მაგრამ კარგად თამაშობდნენ მცველები და მეკარე გაბელია. შემდეგ სტუმრებმა შეძლეს გაეთანაბრებინათ თამაში და რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტიეს ოლეინიკის კარს. 28-ე წუთზე კი ლენინგრადელები ამკარა გოლს გადაურჩნენ. კოპალეშვილი-გუცაევი-კოპალეშვილი ოსკომბინაციის შემდეგ ყიფიანი თავისუფალი ალმოჩნდა ღია კარის წინ, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა.

38-ე წუთზე ბელოუსმა სახიფათოდ ჩამოაწოდა კუთხური და დამინმა წონასწორობა აღადგინა — 1:1. ასე დამთავრდა ეს დაბაბული, საინტერესო ასპარეზობა.

ლენინგრადელმა ჟურნალისტებმა მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად ცნეს თბილისელი მ. მაჩაიძე და ლენინგრადელი რედკოუსი.

ამავე გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა — 1:0.

სხვა მატჩები

„ზარია“ — „დინამო“ კ. — 1:1

„დინამო“ მ. — „არარატი“ — 1:1

„შახტიორი“ — „ლოკომოტივი“ — 2:2

„ჩერნოზემორეცი“ — „პარპატი“ — 2:0

„დნეპრი“ — „ტორპედო“ — 2:0

ვოლუსკში და კაშირაში

ვოლუსკში დამთავრდა საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის „ბოჭაბუკის თასზე“, რომელშიც მონაწილეობდა 15-16 წლის ფეხბურთელთა ექვსი ნაკრები გუნდი. ასპარეზობაში სუსტად გამოვიდა საქართველოს გუნდი. უკანასკნელ დღეს იგი ფრეს დასჯერდა უკრაინის ნაკრებთან შეხვედრაში — 1:1 (ჩვენგან ბურთი გაიტანა ძმიბატარაშვილმა) და პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა. პირველი ადგილი და „სიჭაბუკის თასი“ მოიპოვეს უკრაინელმა სპორტსმენებმა — 9 ქულა, მეორე ადგილზეა სომხეთის — 8, მესამეზე — რუსეთის სფარ გუნდი — 6 ქულა.

კაშირაში დაიწყო საკავშირო შეჯიბრება სპეციალიზებული სკოლებს 16-18 წლის ჭაბუკთა გუნდებს შორის. მონაწილეობს შვიდი ნაკრები, რომლებმაც გაიმარჯვეს წინასწარ შეხვედრებში. პირველ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ კიევის „დინამო“ და ლენინგრადის „სმენა“ — 1:1 (ლენინგრადელებმა პენალტით გახსნეს ანგარიში); ტაშკენტისა და ფრუნზეს სპეცსკოლების გუნდები — 0:0; თანაქალაქელები — თბილისის განათლების განყოფილების გუნდი და „დინამო“. აქაც ფრე — 0:0.

ბალახსს ქო